

სპორტიელი

სპორტული გაზეთი

ხუთშაბათი 26 ოქტომბერი 2000 №207 (1229)

ფასი 50 თეთრი

ფრთხილად პრაქტიკანისეხელობა სასიკვდილოა! რეალმა მოკლა ბარსელოელი

ეს უბედურება პატარა ესპანურ ქალაქ ვილი-არ ჩინილიაში, ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ალბასეტედან 40 კილომეტრის დაშორებით დატრიალდა.

ისინი მეზობლები იყვნენ, ერთმანეთისგან 50 მეტრი აშორებდათ. ერთი 38 წლისა იყო, პატარა პურის საცხობი ჰქონდა და „ბარსელონას“ ქომაგობდა. მეორე, მეპურეზე 17 წლით უფროსი, „რეალის“ თავგადაკლული გულშემოტიკივარია.

სამშაბათს ღამით „რეალის“ ქომაგმა ტელევიზორი მაშინ გამორთო, როცა „ლიდსი“ — „ბარსელონას“ 90 წუთი მიიღია. წამატებული ოთხნახევარი წუთის დასრულებას აღარ დალოდებია, ჩათვალა, რომ „ლიდსმა“ „ბარსელონა“ დაამარცხა. გასარებული ქუჩაში გამოვიდა, მაშხალა ანთო და ასე აღნიშნა საძულველი გუნდის ჯგუფში ჩარჩენა.

ამ დროს მეზობელი სახლიდან „ბარსელონას“ ქომაგი მეპურე გამოვიდა. თამაში ბოლომდე ენახა და ახლა საცხობში მიიქაროდა, რათა დილით ვილიარ ჩინილიას მცხოვრებთათვის პური დაეხვედრებინა.

— გავარდა შენი „ბარსელონა“!

— როგორ თუ გავარდა? „მილანი“ „ლიდსს“ მოუგებს, „ბარსა“ კი „ბეშიქთაშს“.

— გამოშტერებულხარ, ოთქქულიანი „ბარსელონა“ ათქულიან „მილანს“ და „ლიდსს“ ვეღარ დაეწევა.

— რა ოთხი, რა ათი, „ბარსა“ სამი ქულით ჩამორჩა „ლიდსს“. ხომ ნახე, ფრე იყო.

— შენ რა...

ვერაფრით დაარწმუნა ბარსელონელმა რეალელი, რომ ლიდსის მატჩის 95-ე წუთზე რივალიდომ მასპინძლებს გოლი ჩაუჭყდა. ამ ლაპარაკში ეტყობა, მაგრადაც შეყვნენ ერთმანეთს და... „რეალის“ ქომაგი შინ შებრუნდა, იარაღი აიღო, გადატენა და საცხობისკენ გაემშურა...

...არც ერთი იყო მადრიდელი და არც მეორე ბარსელონელი, ორივე ვილიარ ჩინილიას მცხოვრები იყო. იმ ვილიარ ჩინილიასი, რომელსაც ოთხშაბათს დილით პური დააკლდა.

ბიორგი დარჯანია



REUTERS მადრიდიდან

„რეალის“ მეზუთასე გოლის გამტანი გუტი მაცელელეს ხელგმში და კლუბის ისტორიაში

500!

მადრიდული მატჩის მე-11 წუთზე გუტიმ „სპორტინგს“ გაუტანა და ისტორიაში შევიდა: ეს ჩემპიონთა თასზე „რეალის“ მეზუთასე (!) გოლი გამოდგა. ბევრია? ძალიან: ჯერ სამასიც კი არაფის გაუტანია. სპარტაკი და რომი კი კვლავ გვერდიგვერდ არიან — გუშინ შემდეგ წრეში გასვლა მხოლოდ „ლაციომ“ და მოსკოველებმა გაინადღეს.

A ჯგუფი	
ლევანკუზანი	1
სპარტაკი	0
რეალი	4
სპორტინგი	0
B ჯგუფი	
არსენალი	4
სპარტა	2
ლაციო	5
შახტარი	1
C ჯგუფი	
ოლიმპიკოსი	1
ვალენსია	0
პარიზენი	0
ლიონი	2
D ჯგუფი	
შტურმი	2
რეინჯერსი	0
მონაკო	4
გალათასარაი	2

იხილეთ მეორე გვერდი

რას არ გვინახავს ერთი სამტრედიიდან, ხუთი სამტრედიელს



გუშინ ეროვნულზე „მერანი“ — „ბათუმი“ 1:1. საქართველოს ჩემპიონატის დებიუტანტი მერანელი მიხეილ ფოცხვერია ბათუმელ ვიტალი დარჩიძეს გაურბის

ფოცხვერია — ქართული გვარი. გავრცელებულია სამტრედიის რაიონში, სოფელ გოჩა ჯიხიაში. სამტრედიის „იბერია“ — ქართული საფეხბურთო კლუბი, საქართველოს ოდინდელი ვიცეჩემპიონი, რომლის ტრადიციული ადგილსამყოფელი სოფელი დიდი ჯიხიის სანერეთელი ბაზაა, მაგრამ ამჟამად ხაშურის რაიონის სოფელ ქვეშეთში საგარაკო კოტეჯებში ცხოვრობს. გუშინ საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა საფეხბურთო სამყაროში ყველაზე უცნობელ ფოცხვერიას — მიხეილს. ბოლო ხანს უკრაინული დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ თავდამსხმელმა გუშინ თბილისის „მერანის“ მასპინძელი და ავტოგოლი „სინათლეზე“ „ბათუმის“ წინააღმდეგ ითამაშა. დონის რესტოვში ფეხბურთელმა უკრაინულ ფეხბურთში ქომაგობდა 25 წლის ფორვარდს რუსეთის, უკრაინის და გერმანიის 6 კლუბში, საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში უთამაშა, მაგრამ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში გუშინდლამდე არასდროს. გუშინვე სამტრედიიდან აბარგებულმა „იბერია“ ნეიტრალურ მოედანზე, ხაშურში ძველ მეტოქეს და ერთ დროს „იბერიასე“, თბილისის „დინამოს“ უმასპინძლა და 0:5 დამარცხდა. ასეთი სირცხვილი იმერლებს ეროვნულ ჩემპიონატში ჯერ არ უჭამიათ — საშინაო მატჩში არათუ ხუთბურთიანი, ოთხბურთიანი სხვაობითაც არ წაუგიათ, და საერთოდაც, 4 გოლზე მეტი არ გაუშვიათ. გუშინვე მცხეთაში ჩემპიონმა ქუთაისის „ტორპედომ“ მალხაზ ასათიანის სუპერგოლით მოუგო თსუს და წაუგებელი და სტუმრად გოლგაუშვებელი სერია გაიხანგრძლივა. დღეს ოთხ საათზე „ვიტ ჯორჯია“ „კოლხეთს“ „დილა“ კი „ლოკომოტივს“ მასპინძლობს.

იხილეთ მესამე-მეოთხე გვერდები

სამატჩო	წინა	შედეგი	წინა	შედეგი
გორდა	1			
სიონი	2			
მერანი	1			
ბათუმი	1			
იბერია	0			
დინამო	5			
თსუ	0			
ტორკედო	1			
გორაკი	10	10	0	18:230
ლოკომოტივი	9	7	0	21:6 21
ვიტ ჯორჯია	9	6	2	15:4 20
დინამო	10	6	1	3 19:12 19
სიონი	10	4	1	5 9:9 13
მერანი	10	3	4	3 12:14 13
გორდა	10	2	5	3 10:16 11
ბათუმი	10	3	1	6 11:14 10
თსუ	10	3	1	6 12:19 10
კოლხეთი	9	3	0	6 10:13 9
დილა	9	2	2	5 8:17 8
იბერია	10	0	1	9 1:20 1

გუშინ ჩამბიონთა ლიგის მესამე ტური



A ჯგუფი

C ჯგუფი

ლევიკოპოლი და სპარტაკი

ოლიმპიკონი და ვალენსია

ნ. ბაღდატი (52)
ლევიკოპოლი: მატეუტი, ფიგუერა, იენს ნორ-
ფელტი, პოლმანი, რევი, რამელი, ბაღდატი (პრ-
დარბი 76), ზე რობერტო (გრანდინი 81), ნორ-
ვილი, კოსტინი, რინი (ოჯიგვი 46)
წვრთნელი: რუდი ფილიპი
სპარტაკი: ფილიპოვი, კოვტუნ, ჩუხუც, ანა-
ნო, ბარანოვი, ბუღალაი, ტიტოვი, მარკო
(კალინიჩენკო 58), პარფინოვი, ზემოვანი, რა-
სლონი

ნ. ჯორჯევიჩი (65)
ოლიმპიკონი: ელენოვიჩი, ანანტივიჩი,
ილიჩანდრიჩი (გორგატაი 57), მიტროვიჩი
ჯორჯევიჩი, კონტასი, ზე ელიასი, ზეტერბე-
რგი, ჯოვანი, ანტოლაკისი (სუტოვი 74), ია-
ნაკოპოლი (ლუსიანი 57)
წვრთნელი: იანის მიტროვიჩი
ვალენსია: კანსარესი, ჯუკარი, ბუდერნი, კა-
რბინი, სერარდო, ანგულო, დეშამი, მიია (ალ-
ბელდა 49), ვინსენტი კარუ (დეიგო ალანსო
66), ანგლომა (პარი 80)
წვრთნელი: ეტორ რაულ კუბერი
მთავარი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)
58 000 მყურებელი

წვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მთავარი: რინარდ ფილიპი (პოლონეთი)
20 000 მყურებელი

წვრთნელი: ეტორ რაულ კუბერი
მთავარი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)
58 000 მყურებელი



არსენალი — სპარტაკი 4:2. ეს ორივე ფოტო წახანდელია, უბრალოდ, „არსენალიმ“ შესვენებზე ფორმა გამოიცვალა. ქვემოთ კანუ (მარცხნივ) როსიკის გაურბის, ზემოთ კი თავის გოლს დიუსონთან ერთად ხარობს

რეალი 4:0 სპორტივნი

პირენეისი 0:2 ლიონი

ნ. გუტი (11), 2:0 სავი (41), 3:0, 4:0 მორინტესი (61, 69)
რეალი: სესარი, ჯორჯი, კამპო, რობერტო კა-
რლოსი (სოლარი 68), ელგერა, მიკელელე, სე-
ლავესი, გუტი, სავი, ფიგუ (მაკანამანი 52),
მუნტისი (მორინტესი 61)
წვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
სპორტივნი: ნელსონი, პრატესი, დიმაში, პეტუ-
სევერ, ანდრე კრუზი, დელაფინი (ბინუ 46),
მაშინი (აკოსტა 46), ზა პინტუ, უგო (ბარბო-
სა 68), ფიგუ პინტუ, მენჩა
წვრთნელი: ალფონსო ინსაიო
მთავარი: ურს მიაერი (შვეიცარია)
55 000 მყურებელი

ნ. მალბორანკი (68), 0:2 მარლე (78)
პირენეისი: ვინე, ვენეა, კლოპე, პანამა, დე-
ნოიერი, ტალანი (კოლე 68), რადომსკი (ვან-
გესელი 25; დენებუმი 71), იმსენი, ნურმელა,
პუიზინგი, ლურლინი
წვრთნელი: ფოხ დე პანი
ლიონი: კუბე, დევილანდრე, ედმონსონი, ლაი-
ლი, ბრეშე, ლინარესი, ვილო, ს. ანდერსონი
(მალბორანკი 33), მარლე, ვერელი (მეულერი
82), დელმოტი (დორასო 60)
წვრთნელი: ფაქ სანტინი
მთავარი: ლუილიუ კარდოზო (პორტუგალია)
14 000 მყურებელი

B ჯგუფი

D ჯგუფი

არსენალი 4:2 სპარტაკი
ნ. ბარლოუ (5), 2:0 ლორენი (7), 3:0 დიუსონი
(35), 3:1 ლანანტი (40), 4:1 კანუ (51), 4:2 რაი-
სიკი (90)
არსენალი: სინი, დიუსონი, ვიგასი, ლუენი, სი-
ლვინი (გული კოული 46), პირესი (ბერნაბე-
მი 52), ვიგორა, ბარლოუ, ლორენი, კანუ, ანრი
(ვალტოვი 71)
წვრთნელი: არსენ ვენგერი
სპარტაკი: პოსტულა, ლანანტი, პორნაკი, ბო-
ლფი, ირე ნოვიტინი, პაშევი, სიონო (პაპუ-
შეკი 85), როსიკი, იანოშევი, იენი (მინარი
46), კინი
წვრთნელი: ივან პაშევი
მთავარი: ილან შამერი (ლუქსემბურგი)
34 497 მყურებელი

შტურმი 2:0 რინგჰილსი
ნ. იურანი (20), 2:0 პრილსნიგი (90)
შტურმი: შიკლერუბერი, პოპოვიჩი, ნიკიჩიჩ-
ნერი, კოსოვი, მანდოვი, შუბი, რიმიზიჩი
(მინანდი 46), ფლურკინი, პრილსნიგი,
იურანი (შტრაფერი 64), კოცინი
წვრთნელი: ივიცა ოსიმი
რინგჰილსი: კრისტინაშვილი, პორნი (ნეგრი 78),
ამორუზი, კონტრინი, ნუმანი, კანელესი,
ფერგუსონი, თუგაი, ვან ბრონკორსტი (მაკ-
კანი 55), რ. დე ბურე, უილესი (დელაი 73)
წვრთნელი: დეკ ადვოკატი
გაბიევა: ნუმანი (85)
მთავარი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
15 400 მყურებელი

ლაციო 5:1 შახტარი

მონაპო 4:2 ვალენსია

ნ. ფორიბეი (42), 1:1 კლაუდიო ლოპესი (48), 2:1
ფაბილი (54), 3:1 ვერონი (57), 4:1, 5:1 კლაუდიო
ლოპესი (68, 90)
ლაციო: ბერუკი, ფაბილი, ნესტა, ფრანკო კო-
უტუ, პანკარო, ლომბარდო (სენსინი 71), ბა-
რონი (სტანკოვიჩი 46), ნედევედი, ვერონი, ს.
ინსაგი (კრესპო 46), კლაუდიო ლოპესი
წვრთნელი: სვენ გიორან ერისონი
შახტარი: ვორტი, ალუბა (ნიკოლი 70), გლე-
ვეკასი, ტიმოშუკო, პოპოვი (მმარკო 76), ბა-
სარევი, კოვალევი (სტაროსტიაკი 84), ზუბო-
ვი, ატლეკინი, ვორბევი, ოკორონკო
წვრთნელი: ვიტორ პრიკოპოვიჩი
მთავარი: ილან საბრი (საფრანგეთი)
30 000 მყურებელი

ნ. კონტრერასი (6), 2:0 ბონალი (19), 3:0 სიმონი
(22), 3:1 პაქან უნალი (24), 4:1 ნონდა (26), 4:2
ბოლუნტი ქორეშანი (63)
მონაპო: პორატო, კონტრერასი (ლეონარი 68),
მარკუზი (ირლი 42), კრისტინელი, ჯეტი ფ-
ული (დამო 65), გალიბარდო, სიმონი, ფორი-
ტი, ნონდა, ბონალი
წვრთნელი: კლაუდ პუელი
ვალენსია: ტრეზი, ბოლუნტი ქორეშანი, პო-
პესკუ, ოკანი, სუთი (მასან სასი 66), ფარდ-
ელი, პაევი (ბოლუნტი მტინი 42), დიგალა უმი-
თი, კამონი, პაქან უნალი, ერგუნი
წვრთნელი: მიჩა ლუქსუ
გაბიევა: ფორიტი (60), ჯეტი (63)
მთავარი: რუენ ბუდერსენი (ნორვეგია)
18 000 მყურებელი

არსენალი 5:4 1:0 11:5 13

შტურმი 5:3 0:2 7:10 9

ლაციო 5:3 1:1 12:4 10

გალატასარაი 5:2 1:2 8:11 7

სპარტაკი 5:1 0:4 6:12 3

რეინგერსი 5:2 1:2 8:5 7

შახტარი 5:1 0:4 5:15 3

მონაპო 5:2 0:3 11:8 6



ლაციო — შახტარი 5:1. ანდრე ვორბევი (შუაში) თავის გოლით რომელიღაც უარესად დაგვმა



ოლიმპიკონი — ვალენსია 1:0. ბერინთა შვედი პარ ზეტერბერგი (№20) ესპანელთა ფრანგ დიდუ დემამას გაეჭა

ინგლისი

Table with football statistics for various leagues in England, including Premier League, Championship, and League One. Columns include team names and various performance metrics.

Table with football statistics for Georgia, including the Premier League and other divisions. Columns include team names and various performance metrics.

REUTERS რომბიდან

REUTERS რომბიდან

REUTERS ათენიდან

კუკის ნაბარჯალზე ყვავი ჩხიკვის მამიდა

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ აფრიადებულა იმდენი დროში, რამდენიც სიდნეიში ოლიმპიური თამაშების დღეებში. ოლიმპიურ სოფელში 199 სახელმწიფოს დროში აღმართა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ავსტრალიის ამ ქალაქში სწორედ ამდენი ქვეყნის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ. ეს რეკორდული რაოდენობა გახლდათ.

ცხადია, ავსტრალიაში მრავლად ფრიალებდა ხუთგოლიანი ოლიმპიური დროშებიც და გვახსენებდნენ ცოტადენ ისტორიასაც.

ოლიმპიური თამაშები ავსტრალიას მეორედ ეწვია. პირველად ეს მოხდა 1956 წელს, მელბურნში.

მსოფლიოს სპორტსმენთა ამ უდიდესი ფორუმის ორჯერ მასპინძლობით, ავსტრალიის გარდა, სულ ხუთი ქვეყანა (საფრანგეთი, გერმანია, პოლანდია, ინგლისი, აშშ) იწონებს თავს, მრავალი სახელმწიფო (უფრო სწორად, ქალაქი) კი ამაზე ვერც ოცნებობს. არადა, იყო დრო, ავსტრალიას თუ მის მოქალაქეებს ოლიმპიური ოჯახის ზოგი წევრი აღმაცერად უყურებდა. მაშინ, მეორე საუკუნის მეორე ათწლეულში ავსტრალიისა და აფრიკის დანარჩენ კონტინენტებთან სიმბოლური ოლიმპიური რეკორდებით გადაჯაჭვვის წინააღმდეგ საზოგადოების ერთმა ნაწილმა გაილაშქრა. რა კავშირი აქვს ოლიმპიურ თამაშებთან ვეღურ აფრიკას, მით უმეტეს, მას ვერას გაუგებენ ავსტრალიელი აბორიგენები, ამბობდნენ ისინი.

ახლა სხვა დროა. აფრიკა სულ უფრო ამაყებს ოლიმპიურ თამაშებს და საერთოდ სპორტს, ავსტრალიელი აბორიგენებიც, თითზე ჩამოსათვლენი რომ დარჩენილან, ისე მიეპარნენ ხუთ რეკორდს, რომ გაკვირვებაც ვერ მოვასწარის. ისინი სიდნეის ოლიმპიური ჩიორდინის ესტაფეტაშიც ვიხილეთ და ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიაშიც. აბორიგენი, როგორც მთავარი გმირი, ვინაიდან მისი უდიდებულესობა ოლიმპიური ცეცხლის ავიზიების ცერემონიაშიც და თავად თამაშების საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც.


ასეა თუ ისე, ავსტრალია, თავის აბორიგენებთან ოლიმპიური ოჯახის სრულყოფილებიან წევრია და მისი მშვენიერება გახლავთ.

სიდნეიშიც ჩასულთ ერთი იქ მცხოვრები რუსი ქალბატონი შეგვიჩნდა, ჟურნალისტები ხართ და აბორიგენებთან შეხვედრა უთოვდ დაგინტერესობთ. ისინი ავსტრალიის ერთ-ერთ პარკში დაბანაკდნენ და აქციათ აწყობენ, თან ვებოტიკურ სურათებს გადაუღებთ, ოღონდ მათ უჩემოდ ვერ მოძებნით, იქამდე ავტობობილით სამი-ოთხი საათის სამგზავროა და, რომ მივიყვანოთ, მათთან შეგახვედროთ, გასაუბროთ და სურათებიც გადაუღოთ, თითოეულმა 50-50 (სულ 250) დოლარი უნდა მოძეთო.

იმ აბორიგენებამდე იმ რუსის დაუხმარებლად 40 წუთში მივაღწიეთ. ისინი შუაგულ ქალაქში მდებარე ვიქტორია პარკში ყოფილან დაბანაკებულნი. ვესაუბრეთ კიდევ და ის „ეგზოტიკური“ სურათებიც გადაუღეთ. ეს ყველაფერი 50-50 დოლარი კი არა, 50-50 ცენტრიც არ დაგვედომია.

აბორიგენთა კარგების ქალაქის შესასვლელში მათი ეროვნული დროშები ფრიალებდა. დროშის ნახევარი, პორი-ზონტალურად, შავია, ნახევარი — წითელი, შუაში კი ყვითელი დისკო გამოუსახავთ.

ეს დროში 1977 წლიდან იღებს სათავეს. მასში ჩვენ წარსული და მომავალია ასახული. შავი — ეს ჩვენი



აბორიგენთა იახტა აბორიგენული დროშით



კეტი ფრიმენი მე ავსტრალიელი ვარ, მე აბორიგენი ვარ!

SPORTS ILLUSTRATED

წარსული ბნელი ცხოვრებაა, წითელი — აბორიგენთა დადგრილი სისხლი, ყვითელი დისკო კი მზეა — ჩვენი იმედი და მომავალი — გვეუბნებიან კარვის ავიზიების პატივი მიაგეს. ეს უდიდესი ნიღბა მან იქვე თავის „საფორმო“ 400 მეტრზე რბენაში ჩემპიონობით გაამართლა.

ყოველივე ამით დიდად ამაყობენ კარვის აბორიგენები, რომელთა თანამოძმეებსაც 1960 წლამდე არჩევნებში ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ. ახლა ისინი ხმას იმდობდნენ და ქვეყნის მომავალში თავიანთი ავსტრალიის დასამკვიდრებლად იბრძვიან.

ყოველივე ამას სათავეში უდგას კეტი ფრიმენი — ამბობს სიდნეიში მომუშავე ამერიკელი მესვერე პიტერ რუფლი.

კეტი ფრიმენის იერში იკითხება მომავალი ავსტრალიელის სახე. მასში სხვადასხვა დროისა და ხალხის ანარეკლს ვხედავთ, რაშიც ავსტრალიელთა ისტორიაც იკითხება.

დედამ ჩვენი ოჯახის გენეალოგიური ოგენი შეადგინა. მამამისი ანუ ბაბუიანში სირიელი გახლდათ — ამბობს კეტი ფრიმენი — იგი ავსტრალიაში აქლემების ჩამოსაყვანად ჩამოვიდა, მერე კი აქ დაფუძნდა; ჩემი დიდი ბაბუა ჩინელი იყო. იგი აქ XIX საუკუნეში ოქროს ციხე-ციხელებამ ჩამოიყვანა. დედის მხრიდან უფრო ძველი წინაპარი ვიდაც ინგლისელი იყო, დორსეტლიან. კატორღელი იქნებოდა, ავსტრალიის ახალმოშენე. ჩემს გარეგნობაში მათი სახეც ირეკლება და მათივე გენებიც მომყვება.

თუმცა, იგივე შეუძლია თქვას ბევრ ავსტრალიელს. ნათქვამი უფრო ნათელი რომ გახდეს, გავისხინოთ ცოტადენი ისტორია.

1788 წლის იანვარში ავსტრალიის აბორიგენი მოსახლეობა გაკვირვებული შეპყრებდა თერთმეტ აფრააზიულ ხომალდს, რომლის მსგავსი მანამდე არ ენახა. ხომალდებმა ღუზები ჩაუშვეს

იმ ადგილზე, რომელსაც ახლა ჰქვია სიდნეი პარბორი, რაც ამ ქალაქის გულისა. ხომალდები სავსე იყო დიდბრიტანელი შფოთისთავებით, ქურდებით, მებავეებით, მკვლელებით, აგრეთვე ჯარისკაცებით, მეზღვაურებით, ადმინისტრატორებით, რომლებმაც ის კატორღელები ჩამოიყვანეს და მათი კოლონია დააარსეს.

ბრიტანელებმა თავიანთი ვიზიტს პირველი ფლოტი უწოდეს, აბორიგენებმა მათ ჩამოსვლას — თავდასხმა.

მერე და მერე ამგვარი ფლოტები მოზღვავედნენ და აბორიგენებმა თავიანთ ბელად ჰემელეუსს მეთაურობით მათ წინააღმდეგ იმი გააჩაღეს. 1802 წელს ინგლისელებმა აბორიგენთა ბელადი გათოკეს, თავი მოკვეთეს და იგი ლონდონს გააგზავნეს, როგორც ადგილობრივი ველური ცხოვრების ნიმუში.

სიდნეიში ბრიტანელ კატორღელთა და ჯარისკაცთა კულტურამ მთელი 160 წელი იბატონა, 1850-იან წლებში კი იგი გადაახალისეს ჩინელმა ოქროსმაძიებლებმა. 1950-იანი წლებიდან სიდნეილთა ცხოვრება გაამრავალფეროვნა ათასობით ემიგრანტმა, რომლებიც ავსტრალიის ხელისუფლებამ, როგორც იაფი მუშახელი, ძირითადად იტალიური და საბერძნეთიდან ჩამოიყვანა.

ეს ყველაფერი, როგორც ვნახეთ, ფრიმენის დედის გენეალოგიურ წიგნში აირეკლა, აი, მამის შესახებ კი, გარდა იმისა, რომ იგი აბორიგენი იყო და ცოლ-შვილი მიატოვა, კეტი არაფერს ამბობს. ასეა თუ ისე, თავად აბორიგენებსაც აქვთ წარსული. ისინიც ავსტრალიას ჩამოსახლებულნი არიან. მკვლევართა თქმით, ავსტრალიაში არაუმეტეს 40 000 წლის წინათ გამოჩნდა პირველი მოსახლეობა, რომლებიც აბორიგენთა წინაპრები იყვნენ. მკვლევართა თქმით, ისინი სამხრეთ აზიიდან დაემგზვნენ. მათ შორის იყვნენ იმ კუნძულიდან, რომელსაც დღეს ინდონეზიას ვუწოდებთ. იმ დროს ზღვის დონე დღევანდელთან




აბორიგენები სიდნეის ქუჩებში და სტადიონზე



გაიხანით. პარი პირსი ტანში შრუბნებელი ეპიკოს

გასული რამდენიმე თვის განმავლობაში მარი პირსმა „შუა კარიერის კრიზისს“ თავი დააღწია და უნიჭოდ განივებულ ნღების შემდეგ ისევ იმ ჩოგბურთელად გადაიქცა...

როგორც ადრეც არაერთხელ მოგახსენეთ, ტანმშენიერი ფრანგი თავის აღმავლობას პირადი ცხოვრების მონქსრიგებას უმადლის შარშან ის შეურიგდა შერევილ მამას...



მარი პირსი

ბავშვობის ვიზიტი

— კრის ევერტი

ყველაზე ადრეული საჩოგბურთო მოგონება

— იმ დღეს, როდესაც 10 წლისა პირველად მიმიყვანეს საჩოგბურთო კლუბში სავარჯიშოდ...

ძობი და ინტერესები

— არ ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთ-

ვალო. მიყვარს კითხვა, საჭმელების მომზადება, ცეკვა, მუსიკა, კარტის და ნარდის თამაში...

სხვა საპორტსმენთან რომანტიკული ურთიერთობის ჯონის უპირატესობის შესახებ

— რობერტო ჩემი სტიმული და მუხაა, ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით და მხარს უუჭერთ, კარიერის მიმე, იმედასაცრეულ მომენტებში კი, როგორც საპორტსმენებს...

საყვარელი კერძი

— ყველაფერი, ღვიძლისა და ბრიუსელის კომბოსტოს გარდა.

საყვარელი ნაყინი

— შოკოლადისა, არაქისის კარაქით

ყველაზე მტკივნეული საჩოგბურთო მოგონება

— მტკივნეულის რა გითხრათ, მაგრამ ყველაზე დიდი იმედაცრეუბა 1994 წელს, როდესაც გაროსის ფინალში გამოვადე...

საუკეთესო მომენტი კარიერაში

— ბუნებრივია, დიდი სლემის ორი ტიტულის მოგება (როდესაც გაროსი 2000 წელს და ავსტრალიის დია პირველობა 1995-ში).

რა თვისებებს აფასებს ყველაზე მეტად ადამიანში

— იუმორის გრძნობას, პატიოსნებას, უბრალოებას.

რომელი სპორტსმენების ცქერა უყვარს

— პირველ ყოვლისა, დენის როდმანის. ის ყველასგან განსხვავებულია, ემოციებს დაუფარავად ამულანებს და ყველას ართობს.

ყველა მიმე მტოქეები პინგის-დევენპორტ-ულიამისა გარდა

— ანეე ჰუბერი, ემი ფრეზერი

საყვარელი ფილმები

— კომედიები, ნებისმიერი ფილმი, რომელზეც გულიანად ვიციწებ.

მატჩისწინა შეგრძობა

— ჩვეულებრივ ძალიან ენერგიული და ტანში ურუნტიელი მივლის ხოლმე. ერთი სული მაქვს, მატჩი როდის დაიწყება...

მამასთან შერიგების შესახებ (ჯიმ პირსი ქალიშვილის შეურაცხყოფისა და სხვების მიმართ აგრესიული ქცევისთვის რამდენიმე წლით WTA ტურისგანსაცხი იყო მოკვეთილი).

— დამოკიდებულება, რომელიც მაშინგან მაკავშირებს, ყოველთვის იყო და იქნება მეტად პირადული, მიუხედავად იმისა...

აბთარნილ სვანიძე

პირველი წრე: ტატიანა პინსა (რუსეთი) — ული ალარი (6, საფრანგეთი) 6:4, 7:5; ელინა დემინა (7, რუსეთი) — რუსანდრა დრაგოშო (რუმინეთი) 6:7 (6:8), 7:5, 6:4; პატი შენი (8, შვეიცარია) — მაი სერა (სპანეთი) 7:6 (7:3), 6:4, 6:3; მამბლაინა მალინი (ბულგარეთი) — ლინა კრანაროვიცაია (რუსეთი) 4:6, 6:4, 6:3; ლინა რიშინი (8,8) — ტატიანა ბუჩი (ფილიპინები) 7:6 (7:5), 6:3; ბი სვანიძე (აზერბაიჯანი) — საბინე პელმანი (ბელგია) 6:3, 7:6 (7:5).

გაბრი მსოფლიოს საჭადრაკო საპირის ჩემპიონის ტიტულაციის საპირი 2 მილიონი \$... LONDON 2000 X აბრტია

ნოკდაუნი

გარი კასპაროვი სსსფრსოდ უნდა წავიკვლო. მათი პარტიის წაგების შემდეგ მას სსსფსულია იხსნის...



მათი პარტია სხვებს არ ჰგავდა და სერთოდ, იქნებ კასპაროვის ნათამაშე არც ერთ პარტიასაც ჩემპიონმა ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ერთსვლიანი შეცდომა დაუსვა...

23... h5 იქნებოდა, რის შემდეგც შავი მეფე საშამათო ქსელიდან თავს აღწევდა. თუმცა ამ შემთხვევაშიც კასპაროვი არცთუ უეჭველად გადაარჩენდა...

სტამბოლის გზა ბათუმში იწყება


28 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე სტამბოლში 34-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარდება. საქართველოს მასზე ვაჟთა და ქალთა ნაკრებები ეყოლებათ...

იყიდება: ორთახიანი ბინა დიდ დიდიშვილი. მვირე მთავრობის, სოანე მეტროს ქუჩა კორპუსი N14...

ფეხსეპი

მოსკოვი, რუსეთი. „კრემლის თასი“. ქალები. დარბაზი, ხალიჩა. საპირი 1,1 მილიონი \$... „კრემლის თასის“ ორგანიზატორებმა კარგა ხანს ალოდინეს ავსტრალიელი ელენა დოკინი...

აქვე იმასაც შეგატყობინებთ, რომ ელენამ მალე შეიძლება მოქალაქეობა შეიცვალოს და ავსტრალიის ნაცვლად ისევ მშობლიური იუგოსლავიის სახელით იასპარეზოს...



ელენა დოკინი

სუპერლიგა

ჯგუფური ეტაპი. II ტური. 25 ოქტომბერი

Table with 2 columns: A ჯგუფი (ლიტუვის რიტასი 969 რაანანა) and B ჯგუფი (ირაკლისი 976 პარტიზანი)

საპროფესიონალი თასი

ჯგუფური ეტაპი. II ტური. 24 ოქტომბერი

Table with 4 columns: A ჯგუფი, B ჯგუფი, C ჯგუფი, D ჯგუფი. Lists teams and their scores.

მესამე ტური გაიმართება 31 ოქტომბერს



კახა სან ფერნანდო — რასინგი. სტუმარი ჩემი ბრაისონი იგნასიო რომეროს გაეცა

პასპორტი პარტიზანებს ტვინის სამრეცხაო გაუსხნა

იუგოსლავიის პრეზიდენტად ვიოსლავ კოშტუნიცას არჩევის მეორე დღეს ბელგრადის „პარტიზანის“ დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა...

„პარტიზანის“ სათავეში ახალი ხალხის მოსვლა გულშემატკივართათვის მოულოდნელი იყო. თქვენ თუ ელოდით, რომ ამ წინადადებათი მოგმართავდნენ?

კიდევ ველოდი და კიდევ არა. იუგოსლავიაში კარგა ხანია ლაპარაკობენ, რომ ყოფილი მოთამაშეები საკალათბურთო საჩქებების მართვაში უნდა ჩაერთონ...

ყველაფერი ახლიდან უნდა დაიწყოს? — მოდით, შევთანხმდეთ, რასაც ვიტყვით, ის მართლაც ჩემი სიტყვები არ არის...



ბელგრადის „პარტიზანის“ ვიცე-პრეზიდენტები პრედრაგ დანილოვიჩი (მარცხნივ) და ჟარკო პასპალი

რსულის დიდი მოთამაშეები არიან. სხვადასხვა დროს ყველა „პარტიზანის“ ლირსებსაც იცავდა.

იუგოსლავია აღფრთოვანდა „პარტიზანის“ მიგალითით: დროა, კალათბურთი კალათბურთელებმა მართონ და არა პოლიტიკოსებმა, კრიმინალებმა ან საქმოსნებმა.

„პარტიზანის“ სწორი კარგი დიდი იყო იუგოსლავიის ჩემპიონატში „ბელგრადის“ და „პარტიზანის“ — „პო ორტიკი“. რას ელით ამ სწორისგან?

არ მინდა, გუნდი ორი თამაშის მიხედვით შევაფასო. სიმართლე ითქვას, ახალ ხელმძღვანელობას შემადგენლობა არ დაუკომპლექტებია, რომ მოვედით, ეს მოთამაშეები დაგვხვდნენ...

მოგვარებული ექნება, მისი გონება სუფთა უნდა იყოს, რათა მხოლოდ კალათბურთზე იფიქროს.

ევროპის საკლუბო კალათბურთში ორი ბარალტური ლიგა — სუპროლიგა და ევროლიგა. ამხე რას ფიქრობთ?

ეს მოსალოდნელი იყო. ევროპულმა კალათბურთმა ვერ აუღო ადლო ახალ დროებს, ვერ გაითვალისწინა ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები...

ცოტა ხნის წინ თქვით, რომ კლავტო გსურთ კალათბურთის თამაში. დღესაც ელით?


კალათბურთის თამაშს ორი წლის წინ დავანება თავი, რადგან გაჯიბრების და ბრძოლის სურვილი გამიქადა. ორივე თვის წინ ეს სურვილი კვლავ გამიჩნდა.

ბუბერი საიკლი ბუბერი კონტინენტისგან ბრუნდება


ეროვნული საპალატო ბურთო ასოციაცია დღესდღეობით რიგაიან ცენტრთა მწვევ ნაკლებობას განიცდის. ამ მხრივ განსაკუთრებით „მაიაში“ კითხვის უჭირს.

„თუმცა აქამდე შორია, ჩვენი ურთიერთობა ჯერ მოლაპარაკებებს არ გასცილებია“. თავად საიკლის აზრი ჩვენთვის უცნობია, თუმცა, როგორც რაილის სიტყვებიდან ჩანს...

ნა შეუძლია. საიკლიმ თავისი პროფესიული კარიერა სწორედ აქ დაიწყო 12 წლის წინ. იგი 1988 წლის დრაფტში აიყვანა „მაიაში“...



რონი საიკლი მაიაშის მთავარი მოთამაშეა



REUTERS გრანინიდან

ტაფელა და გასაღები

შარანიში აზარტული საკრიკეტე ამბავი მოხდა: პაკისტანის ინგლისი ეწვია და ყოფილმა მეტროპოლიამ და კოლონიამ ხალხშრავალ ადგილას ერთდღიანი მატჩი გამართეს. პირველ ფოტოზე მასპინძელი საქლან მუშტავი ჩანს, რომელიც ამბოდ

ეცადა დარენ ვაფისგან გამოტყორცნილი ბურთის გაბრუნებას. ბევრი იშრომეს პაკისტანელებმა, ათასები ყვირილით ამხნევედნენ, მაგრამ ამბოდ... ინგლისმა მოიგო და ენდრიუ ფლინტოფს დამსახურებულად მოგებული ჯილდო — ავტომობილის სიმბოლური გასაღები უბყრია ხელთ.



REUTERS მინეაპოლინიდან



ოქროს მატჩი

ოქროსი, მაგრამ ვისთვის? არა გუნდთათვის — ამერიკული ფეხბურთის ერთი ჩვეულებრივი მატჩი იყო, „მინესოტა ვიკინგზი“ და „ბაფალო ბილსი“ თამაშობდნენ, მაგრამ „ვიკინგებში“ ერთი კაცი, გერი ანდერსონი, რომელმაც კვირას თავისი გუნდის 31-დან (შეხვედრა 31-27 დამთავრდა) 11 ქულა მიითვალა და ეგ სულმთლად არაფერი: 19 წლიანი კარიერის მანძილზე დაგროვილი ქულების ოდენობა 2004 გაუხდა. აი, ეს კი მართლა ყველაფერია — ნფლ-ს რეკორდი გახლავთ. ადრეული შედეგი ჯორჯ ბლანდარის ყოფილა, 2002 ქულა.



REUTERS თურქესტანიდან

ქალაქის იუბილე


დიდი დრო არ გასულიყო, გახტანგ ვორგასლის მიმინოსგან დევნილი ხობის თბილისის ვოგირდოვან წყალში მოხარშვიდან, რომ შუა აზიაში, დღევანდელი ყაზახეთის ტერიტორიაზე ერთობ გაურკვეველი წარმოშობის ხალხს (იქნებ სკვითებს) თურმე ქალაქი თურქესტანი დაუარსებიათ და იმის მერე ეს ქალაქი თავის ადგილას დგას. დაფუძნებიდან ერთნახევარი ათასწლეულის შესრულება თურქესტანის მესვეურებმა მასობრივი სანახაობებით აღნიშნეს და მისი საჩინო ფრაგმენტი გაჭვნებული ცხენიდან მონეტის დათრევა გახლდათ.

REUTERS ნიუ იორკიდან



დიდკასები

ნიუიორკული ბეისბოლ-დე-რბი დიდ ყურადღებას იქცევს. „იანკიზმა“ და „მეტსმა“ უკვე სამი შეხვედრა გამართეს და ვინ გინდათ, მასზე რომ არ მისულიყო, მაგრამ მესამე თამაში მაინც განსაკუთრებული გამოვიდა. „იანკთა“ მფლობელი, ჯორჯ სტიინბრენერი გასაგებია, მაგრამ აგერ მარჯვნივ კიდევ ვის ვხედავთ: ნიუ იორკის გუბერნატორი, ჯორჯ პატაკი, სენატორობის კანდიდატი ამვე შტატიდან, რიკ ლაციო და ქალაქის მერი, რუდი ჯულიანი უბრალოდ გამონყოფილან და სტადიონზე მეტროთი მიდიან. რაო, არჩევნები ხომ არ მოახლოვდა?



REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
საორტული გაზეტი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
ლიტერატორი ბიორბი ოქროსაძე
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მამკელია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მირაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია: ვახტანგ ზუბაძე, სოლომონ გულისაშვილი, ვიორგი ღარჯანია, ვიორგი ვაშაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ვაი ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, ვიორგი ბეკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა ვიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვდელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, ვიორგი ბეკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა ვიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვდელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბაგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge